

შპს სნეილ ქეჩი - ინდივიდუალური
სააღრიცხვო პოლიტიკა და ფინანსური ანგარიშგების
განმარტებითი შენიშვნები
2022 წ. 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

1. ზოგადი ინფორმაცია

შპს "სნეილ ქეჩი" შეზღუდული პასუხისმგებლობის კომპანიაა, რომელიც რეგისტრირებულია 11.02.2022 საქართველოში. რეგისტრაციის და ფაქტიური მისამართია ქ. თბილისი, ქ. თბილისი, ვაკის რაიონი მზია ერისთავის ქუჩა №6

კომპანიის დამფუძნებლები არიან: შპს ნადი გრუპი 405129551 -50 %; შპს არქთიქ ფაინენს 13851839 (დიდი ბრიტანეთის და ჩრდილოეთ ირლანდიის გაერთიანებული სამეფო) - 25 %. ალექსეი შუმკოვ 72 3047530 (რუსეთის ფედერაცია) - 24.9%. შპს ახალი ხედვის 1 ფერმა 446988314 - 0.1 %

კომპანიის დირექტორია მერაბ ნადარაია პ.ნ 01029001853

კომპანიის საქმიანობაა სოფლის მეურნეობის პროდუქციის წარმოება შემდგომი რეალიზაციის მიზნით. კომპანია საკუთარ ფერმებში ახორციელებს ლოკოკინების მოშენება/მომრავლებას, რასაც შემდგომში გამოიყენებს როგორც პირდაპირი რეალიზაციის მიზნით, ასევე გადააამუშავებს და აწარმოებს მზა პროდუქტს.

2. ფინანსური ანგარიშგების მომზადების საფუძველი და სააღრიცხვო პოლიტიკა

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს მიერ გამოცემული მცირე და საშუალო საწარმოთა ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტის შესაბამისად. (IFRS for SMEs)

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება წარმოდგენილია ქართულ ლარებში.

ოპერაციები უცხოურ ვალუტაში, თავდაპირველად ჩაიწერება ფუნქციონალურ ვალუტაში ოპერაციის დღისთვის საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ განსაზღვრული კურსით. ანგარიშის პერიოდისთვის უცხოურ ვალუტაში არსებული ფულადი აქტივები გადაიყვანება ფუნქციონალურ ვალუტაში საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი წლის ბოლოს არსებული კურსით. ანგარიშსწორებისას წარმოქმნილი ყველა საკურსო სხვაობა აისახება მოგება-ზარალზე.

1 USD/GEL

1 EURO/GEL

31.12.2022

2,7020

2,8844

შეფასების საფუძველი

ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ისტორიული ღირებულების მეთოდით, თუ ქვემოთ მოცემულ სააღრიცხვო პოლიტიკაში სხვა რამ არ არის ნახსენები. ისტორიული ღირებულება ზოგადად დაფუძნებულია აქტივების სანაცვლოდ გაცემული თანხის სამართლიან ღირებულებაზე.

ფუნქციონირებადი საწარმოს დაშვება

მენეჯმენტმა მოამზადა აღნიშნული ფინანსური ანგარიშგებები ფუნქციონირებადი საწარმოს დაშვებით. აღნიშნული გადაწყვეტილების მისაღებად მენეჯმენტმა გაითვალისწინა კომპანიის ფინანსური მდგომარეობა, მიმდინარე გეგმები, დადებითი ფულადი სახსრების მოძრაობა, კომპანიის ოპერაციების მომგებიანობა და საჭიროების შემთხვევაში ადგილობრივ ფინანსურ რესურსებზე წვდომა, ანგარიშის პერიოდის შემდგომ მინიმუმ 12 თვის განმავლობაში.

ფინანსური ინსტრუმენტები

კლასიფიკაციის გათვალისწინებით, როგორც ეს ქვემოთ არის აღწერილი, ფინანსური ინსტრუმენტები აღირიცხება რეალური ან ამორტიზებული ღირებულებით.

ამონაგების აღიარება

ამონაგები აღიარდება შემოსავლებში საქონლის მიწოდების მომენტში.

ამონაგების შეფასება ხდება მიღებული ან მისაღები ანაზღაურების რეალური ღირებულებით, ფასდათმობებისა და რეალიზაციასთან დაკავშირებული გადასახადების გამოკლებით.

სესხით სარგებლობასთან დაკავშირებული დანახარჯები

სესხით სარგებლობასთან დაკავშირებული დანახარჯები და შემოსავალი აღიარდება იმ პერიოდის მოგებაში ან ზარალში, როდესაც გაწეულ იქნა.

მოგების გადასახადი

საქართველოში მოქმედი ესტონური მოდელის შესაბამისად საწარმო არ აღრიცხავს მოგების გადასახადის ვალდებულებას, სანამ არ მოხდება ამ მოგების დივიდენდად განაწილება (განაწილებად ასევე შეიძლება ჩაითვალოს რიგი სხვა განაცემებიც). შესაბამისად გაუნაწილებელ მოგებაში ასახულია როგორც პარტნიორების წმინდა მოგება ასევე მოგების გადასახადი 15%.

ძირითადი საშუალებები

ძირ. საშუალების თვითღირებულება შედგება შეძენის და მასთან დაკავშირებული სხვა ხარჯების გათვალისწინებით.

ძირითადი საშუალების შეფასება ხდება დაგროვილი ცვეთისა და დაგროვილი გაუფასურების ზარალით შემცირებული თვითღირებულების თანხით.

ცვეთის დარიცხვა ხდება აქტივების თვითღირებულების განაწილების მიზნით მათი სავარაუდო სასარგებლო მომსახურების ვადაზე, წრფივი მეთოდის გამოყენებით. ძირითად საშუალებებზე ცვეთის დასარიცხად გამოიყენება შემდეგი მომსახურების პერიოდები:

შენობა-ნაგებობები	5%
მანქანა-დანადგარები	20%
ოფისის არჭურვილობა	20%
ავეჯი ინვეტარი	20%

თუ არსებობს რაიმე ნიშანი იმისა, რომ ცვეთის ნორმა, აქტივის სასარგებლო მომსახურების ვადა, ან ნარჩენი ღირებულება მნიშვნელოვნად შეიცვალა, ახალი მოლოდინის ასახვის მიზნით, მოცემული აქტივის ცვეთა შესწორდება პერსპექტიულად.

არამატერიალურ აქტივები

არამატერიალური აქტივი არის ფიზიკური ფორმის არმქონე იდენტიფიცირებადი არაფულადი აქტივი. აქტივები ფინანსურ ანგარიშგებაში აღიარდება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მოსალოდნელია, რომ (ა) ამ აქტივისგან მოსალოდნელია ეკონომიკური მოგების მიღება; და (ბ) შესაძლებელია აქტივის ღირებულების სარწმუნო (რეალური) შეფასება.

არამატერიალური აქტივები ასახულია დაგროვილი ცვეთისა და დაგროვილი გაუფასურების ზარალით შემცირებული თვითღირებულებით. მისი ამორტიზება ნარჩენი ღირებულების მეთოდის გამოყენებით და ცვეთის ნორმად აღებულია 15%.

თუ არ-სეზობს რაიმე ნიშანი იმისა, რომ ამორტიზაციის ნორმა, აქტივის სასარგებლო მომსახურების ვადა, ან ნარჩენი ღირებულება მნიშვნელოვნად შეიცვალა, ახალი მოლოდინის ასახვის მიზნით, მოცემული აქტივის ცვეთა შესწორდება პერსპექტიულად.

აქტივების გაუფასურება

ყოველი საანგარიშგებო თარიღისათვის ტარდება ძირითადი საშუალებების, არამატერიალური აქტივებისა ინვესტიციების განხილვა, რათა დადგინდეს, არსებობს თუ არა რაიმე ნიშანი იმისა, რომ აღნიშნული აქტივები გაუფასურებულია. იმ შემთხვევაში, თუ არსებობს შესაძლო გაუფასურების ნიშანი, საბალანსო ღირებულება შემცირდება აქტივის ანაზღაურებად ღირებულებამდე, ხოლო გაუფასურების ზარალი დაუყოვნებლივ აღიარდება მოგებაში ან ზარალში.

ყოველი საანგარიშგებო თარიღისათვის შეფასდება სასაქონლო-მატერიალური ფასეულობების გაუფასურება, თუ სასაქონლო-მატერიალური ფასეულობის ერთეული გაუფასურებულია, მისი საბალანსო ღირებულების შემცირება ხდება პროდუქციის დასრულებისა და რეალიზაციისთვის საჭირო დანახარჯებით შემცირებულ სარეალიზაციო ფასამდე, ხოლო გაუფასურების ზარალი დაუყოვნებლივ აღიარდება მოგებაში, ან ზარალში.

იჯარა

იჯარა ფინანსურ იჯარად კლასიფიცირდება მაშინ, როდესაც იჯარის პირობები ითვალისწინებს იჯარით გაცემული აქტივის საკუთრებასთან დაკავშირებული ფაქტობრივად ყველა რისკისა და ეკონომიკური სარგებლის გადაცემას. ყველა სხვა იჯარა კლასიფიცირდება საოპერაციო (ჩვეულებრივ) იჯარად.

ჩვეულებრივი იჯარის ფარგლებში გადასახდელი საიჯარო გადასახდელები აისახება მოგებაში, ან ზარალში წრფივი მეთოდით, შესაბამისი იჯარის ვადის განმავლობაში.

სასაქონლო-მატერიალური ფასეულობები

სასაქონლო-მატერიალური ფასეულობების აღიარება ხდება თვითღირებულებასა და პროდუქციის დასრულებისა და გაყიდვისთვის საჭირო დანახარჯებით შემცირებულ სარეალიზაციო ფასს შორის უმცირესი თანხით.

სასაქონლო მატერიალური მარაგების ინვენტარიზაცია ხორციელდება ყოველკვარტალურად. შედეგები აღიარდება მოგება/ზარალში.

თვითღირებულება გაიანგარიშება „საშუალო შეწონილი მეთოდის“ გამოყენებით.

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

რეალიზაცია, ძირითადად, ხორციელდება ჩვეულებრივი საკრედიტო პირობებით და დებიტორულ დავალიანებას პროცენტი არ ერიცხება. საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს უცხოურ ვალუტაში გამოსახული სავაჭრო მოთხოვნები გადაანგარიშდება საწარმოს ფულად ერთეულში, საანგარიშგებო თარიღისათვის არსებული სავალუტო კურსის მიხედვით. საკურსო სხვაობით წარმოქმნილი შემოსულობა ან ზარალი აისახება სხვა შემოსავალში ან სხვა ხარჯებში.

ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს გაანალიზდება სავაჭრო და სხვა მოთხოვნების საბალანსო ღირებულებები, რათა დადგინდეს, არსებობს თუ არა ობიექტური მტკიცებულება იმისა, რომ ეს თანხები არ არის ამოღებადი. ამგვარი მტკიცებულების არსებობის შემთხვევაში, გაუფასურების ზარალი დაუყოვნებლივ აღიარდება მოგებაში ან ზარალში.

სავაჭრო ვალდებულებები

სავაჭრო ვალდებულებები წარმოადგენს ჩვეულებრივი საკრედიტო პირობებით აღებულ ვალდებულებებს და პროცენტი არ ერიცხება. საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს უცხოურ ვალუტაში გამოსახული სავაჭრო ვალდებულებები გადაანგარიშდება საწარმოს ფულად ერთეულში, საანგარიშგებო თარიღისათვის არსებული სავალუტო კურსის მიხედვით. საკურსო სხვაობით წარმოქმნილი შემოსულობა ან ზარალი აისახება სხვა შემოსავალში ან სხვა ხარჯებში.

სესხები

კომპანიას გააჩნია საბანკო სესხი. საპროცენტო ხარჯი აღიარდება ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდით და აისახება ფინანსურ დანახარჯებში.

ანარიცხები საგარანტიო ვალდებულებებისთვის

საწარმოს მომსახურებას არ ახლავს გარანტია, შესაბამისად არაა აქტუალური საგარანტიო ანარიცხების ან რეზერვების გაკეთება.

პირობითი აქტივები და პირობითი ვალდებულებები

საწარმოს არანაირი პირობითი აქტივი და ვალდებულება არ წარმოქმნია 2022 წლის პერიოდში ან ანგარიშგების გამოქვეყნების მომენტისათვის, შესაბამისად არ აქვს ასახული ასეთი მუხლები ახსნა-განმარტებით შენიშვნებში ან თავად ანგარიშებში.

4. ამონაგები

შემოსავალი საქონლის რეალიზაციიდან

2022

1 ლარი

26 923

26 923

საწარმოს მიერ მიღებული შემოსავალი შედგენა საქონლის რეალიზაციიდან მიღებული ამონაგებით.

5. სხვა არასაოპერაციო შემოსავლები და სხვა შემოსავლები ეს ვალუტის კურსთაშორის სხვაობით მიღებული შედეგებია.

6. საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები

	2022 1 ლარი
გაყიდული საქონელი	51
ცვეთა და ამორტიზაცია	50640
შრომის ანაზღაურება	252739
კომუნალური და საკომუნიკაციო ხარჯები	865
სადაზღვეო ხარჯები	4584
ბანკის მომსახურების ხარჯი	4142
საიჯარო ქირა	66414
საპროცენტო ხარჯები	12960
სხვადასხვა	323193
	715 588

7. ფინანსური ხარჯები

სესხზე დარიცხული საპროცენტო ხარჯი.

საპროცენტო ხარჯები მოიცავს მიმდინარე სესხზე დარიცხულ პროცენტს და სალიზინგო კომპანიისთვის გადახდილ % ის თანხებს.

2022 1 ლარი
12 960

8. ფულადი სახსრები

ნაღდი ფულის ნაშთი საბანკო ანგარიშებზე შესაძლოა კლასიფიცირებული იყოს, როგორც არასარიცხო, იმ ფაქტის გათვალისწინებით, რომ ბანკები, სადაც კომპანიას მიმდინარე ანგარიშები აქვს, არის სანდო და საყოველთაოდ ცნობილი საკრედიტო დაწესებულებები.

	2022 1 ლარი
ნაღდი ფული ეროვნულ ვალუტაში	0,00
ეროვნული ვალუტა რეზიდენტ ბანკში	87121,92
უცხოური ვალუტა რეზიდენტ ბანკში	364506,00
	451 628

9. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

	2022 1 ლარი
სავაჭრო დებიტორები	50

გაცემული ავანსები მომწოდებლებზე	186 767
საქვეანგარიშო პირზე გაცემული თანხები	0
სხვა მოკლევადიანი აქტივები	38 940
	<u>225 757</u>

10. წინასწარ გადახდილი ხარჯები

	2022
	1 ლარი
სხვა წინასწარ გაწეული ხარჯი	0

11. სასაქონლო-მატერიალური ფასეულობები

	2022
	1 ლარი
საქონელი	930 612
სხვა სასაქონლო მატერიალური მარაგი	566 550
	<u>1 497 162</u>

საწარმოს გააჩნია მასალები და მზა პროდუქცია.

12. ძირითადი საშუალებების მოძრაობა

	2022
	1 ლარი
მიწის ნაკვეთი	
შემოსვლა	183 281
გასვლა	-
საბოლოო ნაშთი	<u>183 281</u>

შენობა-ნაგებობა

შემოსვლა	1 248 541
გასვლა	
ცვეთა	23 200
ცვეთის გასვლა	-
საბოლოო ნაშთი	<u>1 225 341</u>

ოფისის აღჭურვილობა და სხვა ინვენტარი

შემოსვლა	954458,00
გასვლა	
ცვეთა	23 765
ცვეთის გასვლა	-
საბოლოო ნაშთი	<u>930 693</u>

სატრანსპორტო საშუალებები

შემოსვლა	97 999
გასვლა	
ცვეთა	3674,00
ცვეთის გასვლა	-
საბოლოო ნაშთი	<u>94 325</u>

საბალანსო ღირებულება

2 433 640

13. არამატერიალური აქტივები

პროგრამული უზრუნველყოფა

34 155

გუდვილი

771 621

საბოლოო ნაშთი

805 776,00

არამატერიალური აქტივები არის საწარმოს მფლობელობაში არსებული პროგრამული უზრუნველყოფის ღირებულება, რომელიც აღირიცხება პირვანდელი ღირებულებით ცვეთის გამოკლებით.

14. სავაჭრო ვალდებულებები

სავაჭრო ვალდებულებებში არის შემდეგი სახის მოკლევადიანი ვალდებულებები

2022

1 ლარი

სავაჭრო კრედიტორები

232 620

თანამშრომლების მიმართ ვალდებულებები

5 639

238 259,00

სავაჭრო ვალდებულებებში არის მხოლოდ ანგარიშგების ვალუტაში ნომინირებული.

15. სესხები

2022

1 ლარი

სესხი არარეზიდენტი იურიდიული პირის მიმართ

972 597

გადასახდელი სესხის %

121 924

1 094 521

16. სააქციო კაპიტალი

2022 წელს საწესდებო კაპიტალი განისაზღვრა 7 291 000 ლარით, საიდანაც შეივსო 4 888 315 ლარი.

პირობითი ვალდებულებები

საწარმოს არ ერიცხება რაიმე პირობითი ვალდებულება, ის არ იმყოფება დავაში ან არ შესულა ისეთ თავდებობაში, რომ გაეჩინა მოლოდინი რაიმე სახის ზარალის, გარანტიის ანაზღაურებაზე. საწარმოს ფინანსური ანგარიშგების ფორმების დამტკიცების მომენტამდე არ გამოვლენილა ასეთი სავარაუდო ვალდებულების შესახებ რაიმე ნიშნები ან ცნობები.

საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები


საწარმოში არ მომხდარა საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები, რომელიც საჭიროებს დამატებით ასახვას ან განმარტებას შენიშვნებში. არ დამტკიცებულა დივიდენდი, არ დამტკიცებულა კაპიტალის შევსება ან შემცირება.

ფინანსური ანგარიშგების დამტკიცება

პარტნიორებმა და კომპანიის დირექტორმა ფინანსური ანგარიშგება დაამტკიცა და მისი გამოცემის ნებართვა გასცა 2023 წლის 30 ოქტომბერს.

საწარმოს დირექტორი

მერაბ ნადარაია



ფინანსური მდგომარეობა

ფინანსური მდგომარეობა

31/12/2022

ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	451628
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	50
სხვა პირებზე ავანსებად და სესხებად გაცემული ფულადი სახსრები	188325
მარაგები	1497162
მზა პროდუქცია	930612
სხვა	566550
საინვესტიციო ქონება	0
სხვა მოკლევადიანი აქტივები	38940
ბიოლოგიური აქტივები	0
თვითღირებულების მოდელით	0
გადაფასების მოდელით	0
გუდვილი	771621
სხვა არამატერიალური აქტივები	34155
ძირითადი საშუალებები	2433640
ინვესტიციები შვილობილ კომპანიებში	0
ინვესტიციები სხვა საწარმოთა წილობრივ ინსტრუმენტებში	0
სხვა გრძელვადიანი აქტივები	2402684
სულ აქტივები	7818205

ვალდებულებები


საიჯარო ვალდებულება	232620
სავაჭრო ვალდებულებები	0
ანარიცხები	5065
ვალდებულებები თანამშრომელთა მიმართ	5639
საგადასახადო ვალდებულებები	0
გამოუმუშავებელი შემოსავალი	0
მოკლევადიანი ნასესხები სახსრები	0
გრძელვადიანი ნასესხები სახსრები	972597
მიღებული გრანტები	0
სხვა ვალდებულებები	0
სულ ვალდებულებები	1215921

საკუთარი კაპიტალი

სააქციო კაპიტალი (შპს-ს შემთხვევაში 'კაპიტალი', კოოპერატივის შემთხვევაში 'საპაიო კაპიტალი')	7291000
საემისიო შემოსავალი	0
გამოსყიდული საკუთარი აქციები	0
გაუნაწილებელი მოგება / (დაგროვილი ზარალი)	-688716
გადაფასების რეზერვი	0
საკუთარი კაპიტალის სხვა კომპონენტები	0
სულ საკუთარი კაპიტალი	6602284
სულ საკუთარი კაპიტალი და ვალდებულებები	7818205
სულ მოკლევადიანი აქტივები	137115
სულ მოკლევადიანი ვალდებულებები	0

საქმიანობის შედეგები

საქმიანობის შედეგები	31/12/2022
ნეტო ამონაგები	26923
საქონლის გაყიდვიდან	26923
მომსახურების გაწევიდან	0
სამშენებლო ხელშეკრულებიდან	0
სხვა	0
გაყიდვების თვითღირებულება	-51
საწყისი მარაგები	0
მარაგების შესყიდვა	0
გადამუშავების დანახარჯები	0
საბოლოო მარაგები	0
საერთო მოგება	26872
სხვა საოპერაციო შემოსავალი	0
დასაქმებულთა ანაზღაურება	-252739
ცვეთა / ამორტიზაციის ხარჯი	-50640
საპროცენტო შემოსავალი	0
საპროცენტო ხარჯი	-12960
იჯარის ხარჯი	-66414
ადმინისტრაციული და სხვა საოპერაციო ხარჯი	-332835
სულ საოპერაციო ხარჯები	-715588
საოპერაციო მოგება	-688716
გაუფასურების (ხარჯი) / აღდგენა:	
ფინანსური აქტივების გაუფასურების (ხარჯი) / აღდგენა	0
მარაგების გაუფასურების (ხარჯი) / აღდგენა	0
სხვა არაფინანსური აქტივების გაუფასურების (ხარჯი) / აღდგენა	0
წმინდა შემოსულობა / (დანაკარგი) უცხოური ვალუტით	
ვაჭრობიდან და სავალუტო სახსრების გადაფასებიდან	0
მიღებული დივიდენდები	0
სხვა არასაოპერაციო შემოსავალი / (ხარჯი)	0
მოგება / (ზარალი) მოგების გადასახადის ხარჯამდე განგრძობითი	
ოპერაციებიდან	-688716
მოგების გადასახადის ხარჯი	0
საანგარიშგებო პერიოდის მოგება / ზარალი	-688716
სხვა სრული შემოსავალი / (ზარალი):	
ძირითადი საშუალებების (მათ შორის, ბიოლოგიური აქტივების)	
გადაფასების რეზერვი	0
სხვა (მათ შორის წილი ერთობლივი და მეკავშირე საწარმოების	
უძრავი ქონების გადაფასების რეზერვი და დადგენილ	
გადასახდელიანი პროგრამები)	0
სხვა სრული შემოსავალი / (ზარალი), სულ:	0
მთლიანი სრული შემოსავალი / (ზარალი)	-688716
საკუთარი კაპიტალი საანგარიშგებო პერიოდის დასაწყისში	0
ახალი აქციების გამოშვება (შპს-ს შემთხვევაში 'კაპიტალის გაზრდა',	
კოოპერატივის შემთხვევაში 'საპაიო კაპიტალის გაზრდა')	7291000
განაწილება მესაკუთრეებზე (მათ შორის დივიდენდი)	0
სხვა ცვლილებები გაუნაწილებელ მოგებაში	0
კაპიტალის სხვა ცვლილებები	0
საკუთარი კაპიტალი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს	6602284



ფულადი სახსრების მოძრაობა

ფულადი სახსრების მოძრაობა

31/12/2022

საოპერაციო საქმიანობიდან წარმოქმნილი (საოპერაციო საქმიანობაში გამოყენებული) წმინდა ფულადი ნაკადები	9024012
საინვესტიციო საქმიანობიდან წარმოქმნილი (საინვესტიციო საქმიანობაში გამოყენებული) წმინდა ფულადი ნაკადები	0
საფინანსო საქმიანობიდან წარმოქმნილი (საფინანსო საქმიანობაში გამოყენებული) წმინდა ფულადი ნაკადები	-8572384
ფულადი სახსრების შემოსვლა (გასვლა)	451628
ვალუტის კურსის ცვლილების გავლენა ფულად სახსრებსა და მათ ეკვივალენტებზე	0
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები საანგარიშგებო პერიოდის დასაწყისში	0
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს	451628

